

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნიკოლოზ დარჩიაშვილი

საბანკო სექტორის რეგულირების სრულყოფა ფინანსური გლობალიზაციის

პირობებში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ა. ქუთათელაძე

რეცენზენტები _____

დაცვა შედგება 2019 წლის ”_____” ივლისს, ___ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში ტექნიკური ხოლო
ავტორეფერატისა ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

Resume

Dissertation Thesis: "Improvement of Banking Sector Regulation in Financial Globalization" is dedicated to one of the topical issues of functioning and development of banking sector, such as improving banking sector regulation and supervision in the conditions of financial globalization.

In the modern stage, globalization of the world economy, regulation of the banking sector is increasingly becoming more and more important than not only one country. Which clearly showed the financial crisis, revealed serious problems in the regulation and supervision of the banking sector. It has become clear what can lead to unacceptable credit policy and how important role is the role of modern risk management. In this connection it is not only the necessity to improve the banking regulatory system, but also the need for the creation of bank regulation and risk-oriented model and the need for cardinal changes that led to the relevance of the dissertation topic.

In the modern stage, the three major financial regions have been established in the world, where the largest transnational banks are concentrated, such as the US, Western Europe and the Asia-Pacific region. In modern conditions, banking structures are not only influenced by the flow of corporate resources, but also provide credit financing at local and global levels. Transnational Banks take part in establishing correctional relationships in international banking operations or opening off its branches and representations abroad, as well as consortium with other banks.

It is necessary to improve the oversight and regulation of banking activities, create a mechanism that will unite not only the participants of the financial market and the interests of the public but the solution of how to change the decision-making staff in the financial institutions. The purpose of supervision and regulation of banking activities is to ensure the stable functioning of the banking system, ensure reliability and sustainability of commercial banks, create conditions for restricting and preventing risks, protecting the interests of depositors and creditors through tools such as control of the bank's capital Determine the maximum amount of savings equity and equity of capital and the maximum risk of risks for a single borrower and the maximum amount of credits, liquidity standards and open currency position limits to the group of borrowers.

The global financial crisis of 2007-2009 gave momentum to the development of new principles and standards of banking sector regulation and gradual introduction, this process is not yet completed. In the short term, tightening of banking standards means additional organizational expenditures for banks, related to elaboration of mechanisms for preparing new standards and preparing reporting. The more rigid norms of banks' capital sufficient in the short term can result in the increase of credits and the reduction of economic growth. Despite this, the Basel Agreement, as experts predict, will have a positive impact on the development and speed of world economy.

The NBG's bank regulation and supervision function is aimed at ensuring smooth functioning of the country's financial system based on a strong, competitive banking sector and focused on market relations and risk management. In this regard, the National Bank of Georgia, in accordance with the legislation and other normative acts, carries out banking regulation and supervision over the functioning of commercial banks and other financial institutions.

According to the survey, commercial bank employees think that the development of banking supervision mainly prevents unenforceable legislation and lack of information and knowledge. In our opinion, we need to be more intensively

closer to the legislation of the European Union in the banking sector in order to improve the situation, and improve the training system of supervisory service personnel to raise awareness.

In our regulation regime, the National Bank of Georgia regulates the need to reduce accumulation from the limitation of activity and simplify the regulatory procedures that could be easily understood, prevented major risks and did not force banks to seek effective ways to protect themselves from the regulator. Now, under conditions where the profit of commercial banks has decreased, new regulations introduced by the National Bank, simplification of regulation and reduction in expenditure would be a key factor in the effectiveness of commercial banks' performance.

The National Bank of Banking Regulation is characterized by the existence of all necessary elements, the level of development of roles, and therefore cannot provide adequate regulatory mechanisms and systematic regulatory impact on the banking sector functioning in crisis conditions and implementing Basel III standards.

It is assumed that the National Bank of Effective Banking Regulation and Surveillance System, which provides an unstable economic environment and adequately reacts to national security threats and is focused on the formation of a more active role of banks on the realization of priority objectives of the national economy, is ready to implement Basel III standards Erase and development.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კვლევის აქტუალობა. უკანასკნელ წლებში, დაჩქარებული გლობალიზაციის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და მსოფლიოში კრიზისის წარმოშობის რეციდივების საფრთხის გამო, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, როგორც ფინანსური სისტემის მთლიანად, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების ფინანსური სტაბილურობის პრობლემებს, ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ფინანსური სისტემის ფუძემდებლურ ელემენტს, ენიჭება საბანკო სექტორს. 2007-2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების გაზრდილი ყურადღება საბანკო სექტორის მიმართ გამოწვეულია იმით, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბანკო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასთან, ვინაიდან საბანკო სექტორი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის სახსრების გადანაწილებასა და დაფინანსებაში. მეანაბრებისა და კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ბანკების საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას.

საქართველოში უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის საკითხებს. რაზეც ნათლად მეტყველებს ის ნაბიჯები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც ახორციელებს მთავრობა და ეროვნული ბანკი. ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები, რომელიც ეხება, როგორც კომერციულ ბანკებს, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. იგი ემსახურება საქართველოში ჭარბვალუანობის პრობლემის დარეგულირებასა და საერთოდ საფინანსო სექტორის გაჯანსაღებას. ეს რეგულაციები ძალაში შევიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან იგი სრულად ამოქმედდა, რითაც რეგულაციები უფრო გამკაცრდა[1]. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რის განუვითარებლობაც არასწორი რეგულირების შედეგია. ამ მიმართებით 2016 წლის აპრილში კაპიტალის ბაზრის მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ეროვნული ბანკი, შეიმუშავეს „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“[2], რომელშიც დიდი ყურადღება დათმობილი აქვს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მნიშვნელობას კაპიტალის ბაზრის განვითარებაში.

თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის ქვეყნის საბანკო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ამოცანა, მისი ეფექტიანობის გაზრდა ეკონომიკაში რესურსების გადანაწილებაში საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე, ასევე ფინანსური სექტორის მდგრადობის გაზრდა გარე შოკების მიმართ. ამ პირობებში, აუცილებელია, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემა არ ქმნიდეს დამატებით ახალ რისკებს ან არ ზრდიდეს ეკონომიკაში უკვე არსებულ რისკებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს საბანკო სექტორის რეგულირების ოპტიმალური მექანიზმების შემუშავებას, როდესაც მინიმიზირებულია რისკის რეალიზაციის შესაძლო შედეგები, ამასთან მოთხოვნები უნდა იყოს ოპტიმალური და არ უნდა ახშობდეს საფინანსო სექტორის აქტიურობას.

მოყვანილი კონცეპციის წარმატებული რეალიზაცია და შედეგად ქვეყნის საბანკო სექტორის სტაბილიზაცია, ჩვენი აზრით, ახდენს საბანკო სისტემის სტაბილურობისა და ეკონომიკური წონასწორობის პირობების შენარჩუნების შესახებ თეორიული წარმოდგენების გაღრმავების მზარდი მოთხოვნილების დემონსტრირებას. ამრიგად, პრობლემის აქტუალობა მდგომარეობს, საბანკო სექტორის სტაბილურობის შესახებ წარმოდგენების ერთიანობის შემუშავების არასაკმარისობაში და მისი რეგულირების ოპტიმალური მექანიზმების შემუშავებაში. საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებების და მისი რეგულირების ღონისძიებების დახვეწის აუცილებლობამ გამოიწვია სადისერტაციო თემისა და კვლევის ძირითადი მიმართულებების არჩევა.

სადისერტაციო კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია კონცეპტუალური მიდგომების და პრაქტიკული წინადადებების შემუშავება, რომლებიც ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ხელს შეუწყობს საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად ამოცანებზე:

1. თანამედროვე ფინანსური გლობალიზაციის თავისებურებებისა და ეკონომიკაზე მისი გავლენის შესწავლა;
2. თანამედროვე საბანკო სექტორში ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი განზოგადება რეგულირების ეროვნულ პრაქტიკაში;
3. საქართველოს საბანკო სისტემის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება;
4. საბანკო სექტორის რეგულირებაში მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მქონე პერსპექტიული ინსტრუმენტების განსაზღვრა;
5. საბანკო სექტორის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში უცხოეთის წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური მარეგულირებელი ორგანოების გამოცდილების შესწავლა;

6. საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების ხელის შეშლელი ძირითადი ფაქტორების, რომლებიც აბრკოლებენ მის აქტიურ მონაწილეობას ეკონომიკის მოდერნიზაციის პროცესში, გამოვლენა და ანალიზი;
7. გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, ეროვნული საბანკო სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციის პრობლემების გადასაჭრელად და საბანკო სექტორის შემდგომი სტაბილიზაციისათვის, რეკომენდაციებისა და პრაქტიკული წინადადებების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საქართველოს საბანკო სექტორის დაწესებულებებში საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის ქვეშ, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში წარმოქმნილი ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსი. ხოლო ობიექტი კი, საბანკო სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტები საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, საბანკო სექტორის რეგულირების შესახებ ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები, სხვადასხვა მკვლევართა ანალიტიკური ნაშრომები, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები.

კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა კვლევის მეთოდები, ისეთები, როგორებიცაა:

- **სისტემური ანალიზის მეთოდი** - ნაშრომში კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ერთმანეთთან შედარებულია საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობა, გაანალიზებულია მათი მონაცემები და დადგენილია კავშირები მათ შორის (თავი 2. ქვეთავები 2.2; 2.,3; თავი 3. ქვეთავი 3.2.).
- **კვლევის ლოგიკური მეთოდი** - ნაშრომში კვლევის ლოგიკური

მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოში და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების ეტაპები და თანამედროვე მდგომარეობა (თავი 1. ქვეთავები 1.1; 1.2; თავი 2. ქვეთავები 2.1; 2.3; თავი 3. ქვეთავი 3.1).

- **კვლევის გრაფიკული მეთოდი** - ნაშრომში სხვადასხვა მონაცემების, მოვლენებისა და პროცესების ნათლად წარმოდგენისათვის მრავლად არის მოყვანილი სქემები და დიაგრამები. რაც თვალსაჩინოს ხდის დისერტაციაში განხილულ მრავალ რთულ მოვლენას.
- **ანალიზისა და სინთეზის მეთოდი** - სადისერტაციო ნაშრომში ანალიზისა და სინთეზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოს საბანკო სისტემა, როგორც ცალკეული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საფინანსო ორგანიზაციების ერთობლიობა. მათი ცალკეული მიმართულებების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპები. ასევე მთლიანად საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის გაუმჯობესებისათვის გაკეთებულია დასკვნები და დასახულია წინადადებები (თავი 2. ქვეთავები 2.2; 2.3; თავი 3. ქვეთავი 3.1; დასკვნები და წინადადებები).
- **კვლევის ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი** - აღნიშნული კვლევის მეთოდი გამოყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, გადამუშავებისა და განზოგადების პროცესში (თავი 1. ქვეთავები 1.1; 1.2. თავი 2. ქვეთავები 2.1; 2.2;).
- **კვლევის რაოდენობრივი მეთოდი (მასობრივი გამოკითხვის)** - კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენებით განხორციელდა რესპოდენტთა გამოკითხვა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. (2.4. ქვეთავი).
- **სტრატეგიცირებული შერჩევის მეთოდით** - აღნიშნული კვლევის მეთოდის დახმარებით 2.4 ქვეთავში განხორციელებულ იქნა რესპოდენტთა შერჩევა.

კვლევის მეცნიერული სიახლე. სიახლე მდგომარეობს ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ინსტიტუტების განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში და მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ფინანსური გლობალიზაციის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია და ფულად-საფინანსო სისტემის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციული ფორმა და მათი რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანიზაციულ ფორმას შორის წინააღმდეგობების გამწვავება, რამაც მიგვიყვანა სავალუტო-საფინანსო კრიზისის გამოვლინებამდე უკიდურესად დესტრუქციული ფორმით;
- გამოვლენილია თანამედროვე საბანკო სექტორის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც აქვთ დესტრუქციული ხასიათი და ხელს უშლიან ნაციონალური ეკონომიკის განვითარებას, ესენია: გაკოტრების მართვისა და რეგულირებისათვის ძალიან მსხვილი ბანკების წარმოშობა; თანამედროვე ფინანსური ინსტიტუტების ქსელური დაქვემდებარება, რომელიც წარმოადგენს გარე შოკების გამტარებელს; ნაციონალურ დონეზე საბანკო სექტორის რეგულირებისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფაში არსებული სიძნელეები; საბანკო კორპორაციების ტოპ მენეჯმენტის ქცევის ოპორტუნისტული მოდელის ფორმირება.
- დამტკიცებულია, რომ ცენტრსა და პერიფერიას შორის კაპიტალის განაწილებაში მუდმივად აღწარმოებადმა ასიმეტრიამ, რომელსაც აქვს ღრმა სოციალური შედეგები, მიგვიყვანა მაკრორეგულირების ერთიანი ინსტიტუტების შექმნასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ საბანკო ზედამხედველობასა და კონტროლს ძირითადი საფინანსო ბაზრების მდგომარეობაზე, ასევე მსოფლიო საბანკო სისტემის სტაბილურობაზე, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

- გამოვლენილი და სისტემატიზებულია საბანკო სექტორის რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი.
- ბანკებისა და საბანკო სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტების თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ბანკებსა და საბანკო სექტორის რეგულირებაში არსებული საკვანძო პრობლემები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის საბანკო სექტორის განვითარებასა და მის აქტიურ მონაწილეობას ეკონომიკის მოდერნიზაციაში. დასახულია ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები.
- შემოთავაზებული და დასაბუთებულია მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მიმართულნი არიან მისი მდგრადობის ამაღლებაზე.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სამუშაოს თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაში დინამიურად განვითარებად გარე გარემოსა და ფინანსური გლობალიზაციის ზემოქმედების ქვეშ. ხოლო მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სადისერტაციო ნაშრომში გაკეთებული დასკვნები, შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკული წინადადებები საშუალებას იძლევა განისაზღვროს საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ასევე ქვეყნის საბანკო ორგანიზაციების სახელმწიფო რეგულირების პერსპექტიული ინსტრუმენტები, მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციების რაოდენობა და რაციონალურობა.

სადისერტაციო ნაშრომში გაკეთებული დასკვნები და წინადადებები სასარგებლო იქნება საბანკო სექტორში და მარეგულირებელ ინსტიტუტებში მომუშავე მენეჯერებისათვის, ასევე თეორიული და პრაქტიკოსი ფინანსისტებისათვის.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი

შედგება 167 გვერდისაგან და შეიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს, დასკვნებსა და წინადადებებს, გამოყენებულ ლიტერატურასა და დანართს.

შინაარსი

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. საბანკო სექტორის სტაბილურობა ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

1.1 ფინანსური გლობალიზაცია და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

1.2 საბანკო სექტორი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

თავი 2. საბანკო სექტორის რეგულირების თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი: მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს თავისებურებანი

2.1. საბანკო სექტორის რეგულირების მსოფლიო გამოცდილება:

მეთოდები, თავისებურებები, შედეგები

2.2. საბანკო სექტორის რეგულირების ახალი პრინციპები

2.3. საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირების პოსტ-კრიზისული ტენდენციები და აქტუალური საკითხები

2.4. კვლევა: საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირების სრულყოფასთან დაკავშირებით

თავი 3. საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირების განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

3.1. კრიპტოვალუტის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და რეგულირების ძირითადი ასპექტები

3.2. საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები

დასკვნები და წინადადებები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი

შესავალში განხილული და დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, ნაჩვენებია ის პრობლემები, რომლებიც არსებობს საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და განსაზღვრულია ის ამოცანები, რომლებზედაც აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნდა გამახვილეს ყურადღება. აღწერილია კვლევის საგანი და ობიექტი, ის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელსაც ეყრდნობა კვლევა. ჩამოყალიბებულია კვლევის მეცნიერული სიახლე და განსაზღვრულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია ის ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც გაანალიზებული ის პრობლემები, რომლებიც აღწერილია საკვლევი თემაში, ნაჩვენებია საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემისადმი ალტერნატიული მიდგომები და დასმული ამოცანების გადაწყვეტის განსხვავებული მიმართულებები.

ნაშრომის პირველ თავში: „საბანკო სექტორის სტაბილურობა ფინანსური გლობალიზაციის პირობებში“ განხილულია ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საბანკო სექტორის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანები. პირველ ქვეთავში: „ფინანსური გლობალიზაცია და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე“ მოყვანილია გლობალიზაციის და კერძოდ ფინანსური გლობალიზაციის მნიშვნელოვანი საკითხები. ჩამოყალიბებულია ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც მოაქვს გლობალიზაციას განვითარებადი ქვეყნებისათვის. განხილულია ქვეყნის ეკონომიკაზე ფინანსური გლობალიზაციის გავლენის ძირითადი ასპექტები. მათ შორის ის დადებითი მხარეები, რომელთა სწორად გამოყენებაც ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს განახორციელოს რეფორმები საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში, რაც იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი. ასევე მოცემულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ფინანსური გლობალიზაციის შემადგენლები;

ქვეყნების წილი მსოფლიო მშპ-ში; ფინანსური ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები; ათი ლიდერი ქვეყანა უცხოური ინვესტიციების შედინების მხრივ; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. მეორე ქვეთავში: „საბანკო სექტორი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში“ - დახასიათებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი საბანკო ბიზნესში, ბანკების ტრადიციული კონკურენტული უპირატესობები, საბანკო სისტემაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობა, ძირითადი ფუნქციები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მსოფლიო საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. მოყვანილია მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ტოპ 10-ლი აქტივების მიხედვით და საქართველოს კომერციული ბანკების საკვანძო მახასიათებლები.

ნაშრომის მეორე თავი: „საბანკო სექტორის რეგულირების თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი: მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს თავისებურებანი“ - განხილულია საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის თანამედროვე პრაქტიკა და ამ მხრივ საქართველოში შექმნილი სიტუაცია. პირველ თავში: „საბანკო სექტორის რეგულირების მსოფლიო გამოცდილება: მეთოდები, თავისებურებები, შედეგები“ ჩამოყალიბებულია შემდეგი საკითხები: საბანკო სექტორში რეგულირებისა და ზედამხედველობის მსოფლიო გამოცდილება, მათი დანერგვის პროცესში წარმოშობილი პრობლემები, ურთიერთკავშირი ბანკის ფინანსურ პრობლემებსა და საბანკო კრიზის შორის, გაერთიანებულ ევროპაში საბანკო სექტორის რეგულირების სისტემის ფორმირების ეტაპები, უცხოური ბანკების აქტივების წილი ადგილობრივ ბაზარზე, საშუალო მნიშვნელობა რეგიონების მიხედვით. მეორე ქვეთავში: „საბანკო სექტორის რეგულირების ახალი პრინციპები“ განხილულია ბაზელ 1, ბაზელ 2-სა და ბაზელ 3-ის შექმნის ისტორიული აუცილებლობა, მათი ძირითადი პრინციპები და საქართველოს საბანკო სისტემის ამ პრინციპებზე გადასვლის მდგომარეობა. მესამე ქვეთავში: „საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირების პოსტ-კრიზისული ტენდენციები და აქტუალური საკითხები“ - განხილულია

საქართველოს საბანკო სისტემის თანამედროვე მდგომარეობა, კომერციული ბანკების ფუნქციონირების პირობები, ბაზელის კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და საქართველოს სისტემაში ახალი საბანკო რეგულირების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მეოთხე ქვეთავში: „კვლევა: საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირების სრულყოფასთან დაკავშირებით“ - გაანალიზებულია, საქართველოში საბანკო სექტორის რეგულირებისა და მისი სრულყოფის გზების ძიების შესახებ, ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგები.

მესამე თავის: „საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირების განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში“ პირველ ქვეთავში: „კრიპტოვალუტის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და რეგულირების ძირითადი ასპექტები“ განხილულია კრიპტოვალუტის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და მისი რეგულირების სახეები სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ამ მხრივ საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიცია. მეორე ქვეთავში: „საქართველოს საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები“ გაანალიზებულია საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ძირითადი ასპექტები და განვითარების პერსპექტივები რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია დასკვნები და მათ საფუძველზე შემუშავებულია პრაქტიკული წინადადებები. ნაშრომს ასევე ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

ძირითადი დასკვნები

1. განხილულია მსოფლიოს უმსხვილესი მანკების რეიტინგები, ამ მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად სარეიტინგო სააგენტოები, ანალიტიკოსები და საფინანსო კომპანიები ადგენენ ყველაზე საიმედო, მომგებიანი და წარმატებული ბანკების რეიტინგს, მაგრამ ფილტრაციის კრიტერიუმები საკმაოდ სპეციფიურია იმისათვის,

რომ დარწმუნებით გამოვეყოთ მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ბანკი. ამიტომ ახდენენ რეიტინგების ფორმირებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით. ერთი და იგივე ბანკი რომელიმე პარამეტრით შესაძლოა ლიდერობდეს, ხოლო ჩამორჩებოდეს სხვა პარამეტრის მიხედვით. ჩვენ გავაანალიზეთ სხვადასხვა ქვეყნის ბანკები საკვანძო მახასიათებლების მიხედვით: თანხა ჩადებული აქტივებში, საბაზრო კაპიტალიზაცია, კაპიტალი, თანამშრომლების რაოდენობა და ბრენდის ღირებულება, ქვეყნები რომლებშიც აწარმოებენ საქმიანობას და ბაზარზე ყოფნის წლების რაოდენობა (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1.

მსოფლიოს 10 უმსხვილესი ბანკი საკვანძო მახასიათებლების მიხედვით 2016 წლის რეიტინგი*


	ქვეყანა	აქტივები ტრილ. \$	კაპიტალიზაცია მილიარდ.\$	კაპიტალი მილიარდ. \$	დაარსების წელი	თანამშრომელთა რაოდენობა	ქვეყნების რაოდენობა
Industrial and Commercial Bank of China	ჩინეთი	3,42	224.08	274.43	1984	466000	132
JP Morgan Chase & Co	აშშ	2.5	234.2	200.48	1799	240000	100
HSBC Holdings	დიდი ბრიტანეთი	4.41	133	153.3	1865	235000	85
Mitsubishi UFJ Financial Group	იაპონია	2.64	73.5	131.75	1880	108153	40
BNP Paribas	საფრანგეთი	2.51	66.8	98.55	1848	189000	31
Royal Bank of Canada	კანადა	1.18	90.67	107.9	1864	80000	35
Banco Santander	ესპანეთი	1.43	71.25	195.96	1857	194000	30
Commonwealth Bank of australia	ავსტრალია	0.873	120	99.2	1911	45948	41
UBS Group AG	შვეიცარია	0.94	63.7	55.31	1862	60099	54
Itau Unibanco Holding	ბრაზილია	0.42	50.5	113.1	1924	94800	21

*ცხრილი შედგენილია მსოფლიო ბანკის, სვალუტო ფონდის, S&P Global Intelligence-ის და სააგენტო Tmn-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად, რომლის მიხედვითაც წამყვანი სააგენტოები და საფინასო ორგანიზაციები ადგენენ მსოფლიოს

უმსხვილესი ბანკების რეიტინგს წარმოადგენს ჯამური აქტივების მოცულობა.

2. გაანალიზებულია საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში მნიშვნელოვანი ფაქტორი, უცხოური ბანკების მონაწილეობა ადგილობრივ ბაზარზე. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ, ბანკირები საზღვრებს გარეშე, გამოქვეყნებულ ანგარიშში 2017-2018 წლებში მსოფლიო ფინანსების განვითარების შესახებ[33], ნათქვამია, რომ 2005-დან 2013 წლის განმავლობაში უცხოური ბანკების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ თავის საქმიანობას ადგილობრივ ბაზრებზე რეგიონების მიხედვით საშუალო მაჩვენებელი სხვადასხვაა. ნახაზზე მოცემულია უცხოური ბანკების წილი ადგილობრივ ბაზარზე, საშუალო მნიშვნელობა რეგიონების მიხედვით, 2005-2013 წლებში (%-ში). როგორც ნახაზიდან ჩანს 1997-2013 წლების პერიოდში უცხოური ბანკების რაოდენობის ზრდა ადგილობრივ ბაზარზე 27%-დან (1997 წელი) 35%-მდე (2013 წელი) გაიზარდა.



წყარო: დიაგრამა შედგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით [34]
 შენიშვნა: 1. EAP - აღმოსავლეთ აზია და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი. 2. ECA - ევროპა და ცენტრალური აზია. 3. LAC - ლათინური ამერიკა და კარიბის ბასეინის ქვეყნები. 4. MENA - ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა. 5. SA - სამხრეთ აზია. 6. SSA - სახარის სამხრეთით სამხრეთით მდებარე ქვეყნები. 7. OECD - ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, მისი წევრი ქვეყნების ჩათვლით.

ნახ. 9. უცხოური ბანკების აქტივების წილი ადგილობრივ ბაზარზე, საშუალო მნიშვნელობა რეგიონების მიხედვით, 2005-2013 წლებში (%-ში)

ზოგიერთ ქვეყანაში, რომელთა ბაზრები ჩამოყალიბების სტადიაზეა, მაგალითად ლათინურ ამერიკაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

უცხოური ბანკები თანამედროვე ეტაპზე დომინირებენ, ზოგიერთ მათგანში კი მთლიანად აყალიბებენ საბანკო სისტემას. ხოლო უმრავლეს განვითარებულ და აზიის ქვეყნებში უცხოურ ბანკებს უკავიათ შედარებით მოკრძალებული პოზიციები.

3. ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საქართველო შეზღუდული რესურსების გამო საბანკო სექტორი განვითარებისათვის ყურადღებას ამახვილებს უცხოურ ინვესტიციებზე და ბანკებში მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების კონცენტრაციაზე. ფულადი რესურსების დეფიციტს მივყავართ საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან. საქართველოს ფინანსურ სექტორში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობები 2010-2018 წლებში გაზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაზეც მეტყველებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. სამი კვარტლის მიხედვით 2018 წელს საქართველოს ფინანსურ სექტორში სულ შემოვიდა 196,342.4 ათასი აშშ დოლარი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, 149,740.5 ათას აშშ დოლარზე, 46,601.9 ათას აშშ დოლარით მეტია. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა მდგომარეობს საინვესტიციო კლიმატის კარდინალურ გაუმჯობესებაში და მსხვილი ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში, რომელიც უნდა იქნეს მიმართული ქვეყნის საინვესტიციო იმიჯის განმტკიცებაზე და ინფორმაციული ასიმეტრიის დაძლევაზე.

საბანკო სექტორის დაფინანსების მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბანკებში მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების კონცენტრაცია. ფულადი გადმორიცხვები ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. წინა წელთან შედარებით 2017 წელს უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 228.3 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა, რაც შეადგენს 17%-იან ზრდას.

ამრიგად, საქართველოს საბანკო სექტორის განვითარებისათვის ფინანსური რესურსის ორი ძირითადი წყარო ყოველწლიურად იზრდება, რაც არის ქვეყნის ფინანსური სექტორის მდგრადი განვითარების გარანტი. ამ პირობებში განუზომლად დიდ მნიშვნელობას იძენს ეროვნული ბანკის

მარეგულირებელი და საზედამხედველო ფუნქცია, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ურთიერთობები საბანკო სექტორს, ბიზნესის სხვა სფეროებსა და მოსახლეობას შორის. ეროვნული ბანკის რეგულირებები, რომლებიც თანდათან შესაბამისობაში მოდიან ბაზელის კომიტეტის პრინციპებთან და ევროკავშირის დირექტივებთან არის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგრადი განვითარების საწინდარი.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივ რეჟიმში განაგრძობს საზედამხედველო ჩარჩოების დახვეწას და მოქმედი სტანდარტების ბაზელ III-ის პრინციპებთან დაახლოებას. 2017- 2018 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებზე. საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც პარლამენტმა 2017 წლის 23 დეკემბერს დაამტკიცა 2018 წლიდან შევიდა ძალაში. ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც განხორციელდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „კომერციული ბანკების შესახებ“ კანონებში და სხვა საკანონმდებლო აქტებში, დახვეწეს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო, რითაც იგი სულ უფრო მოვიდა შესაბამისობაში არსებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან და ბაზელ III-ის ძირითად პრინციპებთან.

4. ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე ჩატარებულ იქნა კვლევა საქართველოში საბანკო სექტორის რეგულირებისა და მისი სრულყოფის გზების ძიების შესახებ. კვლევის პროცესში რესპოდენტთა შერჩევა განხორციელდა სტრატეგიული შერჩევის მეთოდით, ხოლო რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვებულ იქნა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. სულ გამოკითხულ იქნა 5 წამყვანი კომერციული ბანკის 157 თანამშრომელი. აქედან 51.6% იყო მამაკაცი, ხოლო 48.45% ქალი. რესპოდენტთა უმრავლესობა 55,4% საბანკო სისტემაში მუშაობს 5-დან 10 წლამდე, 34.4% 1-დან 5-წლამდე, ხოლო 3.2% და 7% შესაბამისად 1-წლამდე და 10 წელზე მეტი. რესპოდენტთა მიერ ბანკებში დაკავებული თანამდებობები შემდეგნაირად ნაწილდება 4,5% არის მოლარე ოპერატორი, ყველაზე მეტი 45,8% დაბალი რგოლის მენეჯერები, 42,7% საკრედიტო ოფიცერი და 7% მართველობითი რგოლის

მენეჯერი. კითხვარის ძირითადი საკითხები ეხებოდა ხედვებს საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში და მის ძირითად მახასიათებლებს. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ იქნა შესაბამისი დასკვნები.

ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობის აზრით (71.4%), უფრო მკაცრ რეგულირებას მოითხოვს კომერციული ბანკების მიერ გატარებული სატარიფო და საკრედიტო პოლიტიკა, ხოლო ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ბიზნეს გარემოსათვის მნიშვნელოვანია, რომ საფინანსო სექტორის რეგულირებასა და ზედამხედველობას ახორციელებდეს ეროვნული ბანკი (71.3%). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015-2017 წლებში უკვე იყო მცდელობა იმისა, რომ საბანკო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია გადაეცად დამოუკიდებელი ორგანოსათვის, მაგრამ როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა ამ ცვლილებამ არ გაამართლა და ზედამხედველობისა და რეგულირების ფუნქცია დაუბრუნდა ეროვნულ ბანკს. კვლევის საფუძველზე, ასევე დავადგინეთ, რომ საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დაუხვეწავი კანონმდებლობა (54.1%) და ინფორმაციისა და ცოდნის უკმარისობა (32.5%), ხოლო საქართველოს საბანკო სისტემის დაცვისათვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა უკვე ამჟამად მოქმედი ინფლაციის თარგეთირებისა (ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრა) და მცურავი სავალუტო კურსის (78.3%) რეჟიმი.

გაანალიზებულ იქნა რესპოდენტთა მოსაზრებები ბაზელ III-ის პრინციპების საქართველოში დანერგვის შესახებ, საიდანაც გამოვლინდა, რომ საბანკო სექტორის ზედამხედველობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანს წარმოადგენს კაპიტალის საკმარისობისადმი მოთხოვნების გაზრდა (45.9%) და პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის ამოქმედება (38.8%). რამაც მნიშვნელოვნად დააზღვია კომერციული ბანკების რისკები და გაზარდა მათი ფუნქციონირების გამჭირვალებობა. ხოლო რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემის დახვეწისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა

საბანკო ზედამხედველობის სისტემაში სტრეს-ტესტების ფართოდ დანერგვა (33.7%), სისტემური რისკების შესამცირებლად მაკროპრუდენციული ზედამხედველობის გაძლიერება (30.6%) და მეანაბრების ინტერესებისა და უფლებების დასაცავად ანაბრების დაზღვევის ახალი ნორმების შემუშავება (26.8%).

5. როგორც კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ცხადყოფენ, კომერციული ბანკების თანამშრომელთა აზრით საბანკო სფეროს ზედამხედველობის განვითარებას ძირითადად ხელს უშლის დაუხვეწავი კანონმდებლობა და ინფორმაციისა და ცოდნის უკმარისობა. ჩვენი აზრით სიტუაციის გამოსასწორებლად უნდა დაჩქარდეს საბანკო სფეროში კანონმდებლობის ევროსაბჭოს კანონმდებლობასთან უფრო ინტენსიური დაახლოება, ხოლო ცოდნის ამაღლების მიზნით საზედამხედველო სამსახურების თანამშრომელთა გადამზადების სისტემის სრულყოფა.

6. ჩვენი აზრით, რეგულირების სისტემის ეფექტიანობა მცირდება რეგულირების ობიექტის ზუსტად განსაზღვრის გამო. რეგულირების ობიექტად გამოყოფენ საკრედიტო ორგანიზაციებს, მათი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს, იშვიათად საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სახის რისკებს. ჩატარებულმა კვლევამ დაგვარწმუნა იმაში, რომ საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ქმედითი სისტემის შექმნისათვის რეგულირებისა და ზედამხედველობის ობიექტად უნდა განიხილებოდეს საბანკო საქმიანობის რისკები. ეს ყოველივე შეესაბამება ბაზელის კომიტეტის მიდგომებს. საბანკო რეგულირების საგანი უნდა გახდეს რისკების გამოვლენა და ამის საფუძველზე უნდა მოხდეს საბანკო საქმიანობის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტების კორექტირება.

7. დადგენილ იქნა, რომ რისკების დონის გაზომვის ქმედითი ინსტრუმენტი შესაძლოა გახდეს სტრეს-ტესტირების სისტემა. იგი გამოიყენება, როგორც მარეგულირებელი სამუშაოს შესასრულებელი ძირითადი და კრიზისული სიტუაციების წარმოშობის ადრეული შეტყობინების მნიშვნელოვანი ელემენტი. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკის სტრეს-ტესტირების პროგრამა მოითხოვს შემდგომ განვითარებასა და

დახვეწას და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ჰიპოტეზების განზოგადებას, რომლებიც გამოიყენებიან მოდელსა და დაშვებებში.

8. ჩვენი აზრით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების რეჟიმში, მიზანშეწონილია აქცენტების გადატანა საქმიანობის შეზღუდვებიდან ზედმეტად რეგულირების შემცირებაზე და მარეგულირებელი პროცედურების გამარტივებაზე, რომლებიც იქნებოდნენ ადვილად გაგებადი, შეზღუდავდნენ ძირითად რისკებს და არ აიძულებდნენ ბანკებს ეძებნათ ეფექტური ხერხები მარეგულირებლისაგან თავის დასაცავად. ამჟამად ჩამოყალიბებულ პირობებში, როდესაც მცირდება კომერციული ბანკების მოგება, რაც გამოიწვია ეროვნული ბანკის მიერ შემოტანილმა ახალმა რეგულირებებმა, რეგულირების გამარტივება და მასზე დანახარჯების შემცირება გახდებოდა კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორი.

9. საბოლოო დასკვნის სახით დადგინდა, რომ მოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საბანკო სექტორის შესაბამისობა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის სტანდარტებთან არ გამორიცხავს რისკების შეფასების, კაპიტალის საკმარისობის ბუფერის ფორმირების და ლიკვიდობის ზოგიერთი მკაცრი მოთხოვნების გადახედვის მიზანშეწონილობას, რაც არ ეწინააღმდეგება განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებას, და რაც მთავარია შეამცირებს ნეგატიურ ზემოქმედებას ეკონომიკის განვითარებაზე, გამოწვეულს ამ სტანდარტების რეალიზაციით.

ზოგადი დასკვნები

1. დახასიათებულია ფინანსური გლობალიზაციის არსი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში. ფინანსური გლობალიზაციას, როგორც არაერთმნიშვნელოვან მოვლენას თავისი შინაარსით, გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. იგი არა მხოლოდ ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, არამედ ზრდის ლოკალური კრიზისების წარმოშობის რისკს, აფართოებს მათი გავლენის

სფეროს. ფინანსური გლობალიზაცია წარმოადგენს თანამედროვეობის ობიექტურ და სრულიად გარდაუვალ მოვლენას, რომელის შეფერხებაც შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის დახმარებით, მაგრამ შეუძლებელია მისი გაუქმება ან გაჩერება, ვინაიდან იგი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის იმპერატიულ მოთხოვნას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყნებმა უნდა ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება გლობალიზაციის პროცესის განვითარებაზე, რათა შეძლონ ადაპტირება ახალი პირობებისადმი და გამოიყენონ ის წარმოშობილი შესაძლებლობები, რომლებსაც აძლევს მათ მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია. თუ ქვეყანას გააჩნია განვითარებული ფინანსური სისტემა და წარმატებით ახორციელებს მის რეგულირებას, მაშინ გლობალიზაცია ფინანსური რესურსების სწორად განაწილებაზე გავლენის საშუალებით ხელს შეუწყობს მის ეკონომიკურ განვითარებას.

2. ნათქვამია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ჩართული მსოფლიო პროცესებში მნიშვნელოვანწილად განიცდის გლობალიზაციის გავლენას. მისი შედეგები მოქმედებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით საბანკო სექტორზე. საბანკო სექტორი - არის ერთ ერთი ის სფერო სადაც ყველაზე უფრო იგრძნობა საფინანსო გლობალიზაციის გავლენა. გავითვალისწინებთ რა გლობალური განვითარების ყველა დადებით მხარეს საქართველომ უნდა გაატაროს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე, თანდათან უცხოურ ინვესტორებზე დამოკიდებულების შემცირებაზე, რაშიც ლომის წილი უნდა მიუძღოდეს ქვეყნის საბანკო სექტორს. აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ყველა შიდა რესურსი, საბანკო კაპიტალი მიმართულ უნდა იქნეს ინოვაციური ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, გადამამუშავებელი და მსუბუქი მრეწველობის განვითარებაზე. ყოველივე ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანაში გამართული საბანკო სექტორის ფუნქციონირება, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო სფეროს რეგულირების სისტემის დახვეწასა და გამართულ ფუნქციონირებას.

3. განვითარებული ქვეყნებისა და საქართველოს საბანკო სისტემის ანალიზის საფუძველზე დავინახეთ, რომ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა თამაშობს მნიშვნელოვან როლს საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის განხორციელებაში. აშშ-ის, ევროკავშირისა და სხვა წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას აქვს დიდი მნიშვნელობა საქართველო-სათვის, ვინაიდან საბანკო სექტორის რეგულირება და ზედამხედველობა ამ ქვეყნებში ითვლის ას წელზე მეტს, იმ დროს როდესაც ჩვენს ქვეყანაში იგი სულ რაღაც ოც წელია რაც უცხოური გამოცდილების შესაბამისად იხვეწება და თანდათან უახლოვდება მოწინავე ქვეყნების მიერ ამ სფეროში მიღწეულ დონეს.

4. ეროვნული ბანკის საქმიანობა, როგორც საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის განხორციელების ორგანოსი, ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 68 მუხლსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონს. იგი ადგენს ეროვნული ბანკის მიზანსა და ძირითად ამოცანებს, ასევე მის ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებს. საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად ეროვნულმა ბანკმა შექმნა საბანკო საქმიანობისა და ზედამხედველობის მექანიზმი, კომერციული ბანკებისათვის რიგი მოთხოვნების დადგენის გზით, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებში და მათი შესრულება აუცილებელია კომერციული ბანკებისა და საფინანსო დაწესებულებებისათვის. ეს მოთხოვნები განუწყვეტელი დახვეწის პროცესშია, მათი კანონმდებლობასთან, საბანკო სექტორში საერთაშორისო მიღებულ პრინციპებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებთან და ევროკავშირის დირექტივებთან მათი დაახლოების გზით.

5. ზოგადად განხილული იყო კრიპტოვალუტის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები, ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ უკანასკნელ წლებში კრიპტოვალუტის პოპულარობა საქართველოში სულ უფრო იზრდება. ქვეყანა ლიდერობს რეგიონში ბლოკჩეინის ტექნოლოგიისა და ბიტკოინის დანერგვის მიმართულებით. საქართველოს უკავია წამყვანი

პოზიციები რეგიონში კრიპტოვალუტის ბიზნესისა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების დანერგვის სექტორში. თანამედროვე ეტაპზე, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, არ ხდება ამ ბიზნესის რეგულირება. აქედან გამომდინარე არ არის რისკებისაგან დაზღვეულნი, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. დროთა განმავლობაში ქვეყნის ფინანსური სექტორის მარეგულირებელს ეროვნულ ბანკს საქართველოს მთავრობასთან ერთად მოუწევს, გაითვალისწინოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის მდიდარი გამოცდილება ამ სფეროში და საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქციოს და რეგულირების სფეროში შეიყვანოს კრიპტოვალუტის ბიზნესი, რათა დაიცვას საქართველოს მოსახლეობა და ბიზნესი რისკებისა და მაღალი დანაკარგებისაგან.

6. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორდონიანი საბანკო სისტემის ფორმირების მომენტიდან საქართველო არის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში საერთაშორისო ნოვაციების აქტიური მიმდევარი. შედეგად საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ეროვნული სისტემა ჩამოყალიბდა, როგორც მოქნილი მოდელი, რომელიც შეიცავს, როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ისე ეროვნულ მარეგულირებელ ნორმებს.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 – საბანკო სექტორის სტაბილურობა ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;
2. კოლოკვიუმი 2 – საბანკო სექტორში სახელმწიფო რეგულირების პოსტ-კრიზისული ტენდენციები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. საბანკო სექტორი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, № 1-2. თბ. 2019 გვ. 91-97
<https://drive.google.com/file/d/1tEMuK7vSbG3lO4JZDkM9SEdniQON8LY4/view>
2. საბანკო სექტორის რეგულირების მნიშვნელობა ფინანსური გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, ბაქო 2019, გვ. 57-63. 57-63;
https://docs.wixstatic.com/ugd/1ee679_eece80180904a3b8e4f7e2d44dcfb4c.pdf
3. დაკრედიტების ძირითადი პრინციპები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2018“. თბ. 2018. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, №7(7), გვ. 97-105;
4. პოსტ-კრიზისული სახელმწიფო რეგულირების ფუნდამენტური ცვლილებები დიდი ბრიტანეთის საბანკო სექტორში, საერთაშორისო

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, მოამბე XXX, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, თბ. 2018, გვ. 32-34;

5. საქართველოსა და წამყვანი ქვეყნების საბანკო სისტემის თანამედროვე მოდელები. საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ N1. თბ. 2018, გვ. 55-62. https://docs.wixstatic.com/ugd/1ee679_48d2acb18caa4398bc8e5a9a86a8a405.pdf

კონფერენციები:

1. ფინანსური გლობალიზაცია და მის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2019“, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, N8 (8), თბილისი 2019, გვ. 71-81;
2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხებდევლო საქმიანობის სრულყოფის საკითხები, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2017“. თბილისი 23-24 ივნისი, 2017. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, №6(6), გვ. 75-79;
3. ბანკების საქმიანობის რეგულირება და ეკონომიკური მნიშვნელობა, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2016“. თბილისი 24 დეკემბერი, 2016. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, №5(5), გვ. 33-41;
4. The Impact of Foreign Direct Investment in Georgian Economy. Academic Conferences Association, z.s. Czech Technical University in Prague. International Conference. Multidisciplinary Academic Conference on Management, Marketing and Economics. 9st-10st December, Prague, Czech Republic, 2016. The Conference Proceedings. Pp. 61-68; <https://books.google.ru/books?id=JvKpDQAAQBAJ&pg=PA61&lpg=PA61&>

[dq=nino+samchkuashvili&source=bl&ots=6DZaw-ocrS&sig=oZ_6Egv9mvrSMbKHFbHAdtCCXPo&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwi0tPjfsd3VAhWBfRoKHS2_CwQQ6AEIPjAG#v=onepage&q=nino%20samchkuashvili&f=false](https://www.google.com/search?q=nino+samchkuashvili&source=bl&ots=6DZaw-ocrS&sig=oZ_6Egv9mvrSMbKHFbHAdtCCXPo&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwi0tPjfsd3VAhWBfRoKHS2_CwQQ6AEIPjAG#v=onepage&q=nino%20samchkuashvili&f=false)

5. Role of National Bank in Georgian Banking System, Yildiz Technical University & American University of Sharjah. Proceedings of the 1st Annual International Conference on Social Sciences. Istanbul 21st-23st May, 2015. Proceedings Book. Pp. 561-568;
<http://www.aicss.yildiz.edu.tr/past/proceeding2015.pdf>